# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

17 ივლისი, სამშაბათი, 1990 წ.
№133 (10302) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მ. ბერუაშვილი

# მალხაზ ბერუაშვილი ჩემპიონია

სამბო

**კალინინი.** დამთავრდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც გარკვეული სიხარული მოუტანა, როგორც გამოცდილ ოსტატებს, ისევე — ახალბედებს. ლენინაკანელი გურგენ ტუტხალიანი, მაგალითად, მესამედ გახდა ჩემპიონი 52 კგ წონითს კატეგორიაში, კიროვაკანელი გაგიკ კაზარიანი (62 კგ) და მოსკოველი იგორ სიდორკევიჩი (90 კგ) კი — მეორედ.

გამარჯვება, რა თქმა უნდა, მუდამ სასიამოვნოა, მაგრამ მძიმე წონაში წარმატებას, როგორც წესი, სხვა ფასი და მნიშვნელობა აქვს. კალინინის სარბიელზე მძიმეწონოსანთა ტურნირში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ მალხაზ ბერუაშვილს. მან ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და პირველად დაეუფლა ოქროს მედალს სამბოში.

გთავაზობთ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულთა სრულ სიას:

48 კგ — ჯეიხუნ მამედოვი (ბაქო), 52 კგ — გურგენ ტუტხალიანი (ლენინაკანი), 57 კგ — ილდუს აბდულხაკოვი (ჩაიკოვსკი), 62 კგ — გაგიკ კაზარიანი (კიროვაკანი), 68 კგ — ვლადიმერ იაპრინცევი (მინსკი), 74 კგ — ევგენი პასადსკინი, 82 კგ. — ალექსანდრე სიდოროვი, 90 კგ — იგორ სიდორკევიჩი (სამივე — მოსკოვი), 100 კგ. — მურატ ოზოვი (ჩერკესკი), მძიმე — მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი).

სიეტლი — 90

# თამაშების პროგრამა

## ყოველი მსოფლიო რეკორდისათვის 100 ათასი დოლარი

**როგორც** ვიუწყებოდით, კეთილი ნების თამაშები სიეტლში დაიწყება 20 ივლისს და 5 აგვისტომდე გასტანს. 17 დღის განმავლობაში მედლების კომპლექტები გათამაშდება სპორტის 21 სახეობაში. აი, როგორია თამაშების კალენდარი:

**ფრენბურთი** (ქალები ) — 20-26 ივლისი
**ცურვა** — 20-24 ივლისი
**ტანვარჯიში** — 20-29 ივლისი
**მძლეოსნობა** — 21-26 ივლისი
**ნიჩბოსნობა (აკად.)** — 21-22 ივლისი
**ხელბურთი** — 22-27 ივლისი
**კალათბურთი** (ვაჟები) — 23-29 ივლისი
**წყალბურთი** — 25-29 ივლისი
**კეტბურთი** — 26-31 ივლისი
**ჭიდაობა (თავისუფ.)** — 27-28 ივლისი
**ჰოკეი** — 27 ივლისი-5 აგვისტო
**მხატვრული ტანვარჯიში** — 27-28 ივლისი
**ველოსპორტი** — 28-29 ივლისი
**კრივი** — 28 ივლისი-5 აგვისტო
**ძალოსნობა** — 29 ივლისი
**თანამედროვე ხუთჭიდი** — 30-31 ივლისი
**ფრენბურთი (ვაჟები)** — 30 ივლისი — 4 აგვისტო
**სინქრონული ცურვა** — 30 ივლისი
**კალათბურთი** (ქალები) — 31 ივლისი-5 აგვისტო
**წყალში ხტომა** — 31 ივლისი 5 აგვისტო
**აფროსნობა** — 1-4 აგვისტო
**ფიგურული ციგურაობა** — 2-5 აგვისტო
**ძიუდო** — 3-4 აგვისტო.

კეთილი ნების თამაშების საზეიმო გახსნა მოეწყობა 21 ივლისს, დახურვა — 5 აგვისტოს.

კალენდარს, რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ, მცირე განმარტება სჭირდება. როგორც შეამჩნიეთ, ძალოსანთა შეჯიბრებისთვის მხოლოდ ერთი დღეა გამოყოფილი — 29 ივლისი. ერთ დღეში, ყველა წონის წარმომადგენლები ურთიერთობას, ცხადია, ვერ გაარკვევენ. მაგრამ პროგრამით ეს არც არის გათვალისწინებული. უბრალოდ, 29 ივლისს 110 კგ და ზემძიმე წონის ძალოსნები მსოფლიო რეკორდების გასაუმჯობესებლად იბრძოლებენ. ძალოსანთა პროგრამაც სწორედ ამით ამოიწურება.

ახლა თანამედროვე ხუთჭიდელთა შესახებ: 30 ივლისს მოეწყობა შეჯიბრება სროლასა და ფარიკაობაში, 31 ივლისს კი — ცურვაში, მძლეოსნურ კროსსა და ცხენოსნურ „კონკურში.

ასევე შეკვეცილია ძიუდოისტთა განრიგი. 4 აგვისტოს იასპარეზებენ 71, 78, 86 და 95 კგ-სა და მძიმე წონის წარმომადგენლები, ერთი დღით ადრე კი (3 ივლისს) პირველობა გათამაშდება მხოლოდ ორ წონაში — 60 და 65 კგ-ში.

ერთი საინტერესო ცნობაც. თამაშების ორგანიზატორების გადაწყვეტილებით მძლეოსნობაში დამყარებული ყოველი მსოფლიო რეკორდისთვის სპორტსმენი ჯილდოდ მიიღებს... 100 ათას დოლარს.

# მოსკოვი—მურმანსკი—სიეტლი

**გუშინწინ** მოსკოვიდან სიეტლს, მურმანსკის გავლით, გაფრინდა აეროფლოტის თვითმფრინავი, რომელმაც კეთილი ნების თამაშებზე ჩაიყვანა საბჭოთა დელეგაციის ერთი ჯგუფი საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის ნიკოლოზ რუსაკის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ წყალბურთელები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ხელბურთელები, მოცურავეები, აგრეთვე, მწვრთნელები, მსაჯები და ჟურნალისტები. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე მარშრუტით გაემგზავრება საბჭოთა დელეგაციის კიდევ ერთი ჯგუფი, სულ კი, როგორც აეროფლოტის წარმომადგენლები ამბობენ, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ოცდაცხრა ასეთი რეისია დანიშნული.

როგორც საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი კოლესოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, საბჭოთა დელეგაცია ყველაზე მრავალრიცხოვანია აშშ-ს დელეგაციის შემდეგ. სიეტლში ჩავა 650-კაციანი ჯგუფი, რომელშიც 421 სპორტსმენი იქნება. ისინი იასპარეზებენ პროგრამით გათვალისწინებულ ოცდაერთივე შეჯიბრებაში. წლევანდელი თამაშების პროგრამაში არის ერთი სიახლეც. ოთხი წლის წინ მოსკოვში მხოლოდ ზაფხულის სახეობათა წარმომადგენლები გამოდიოდნენ, წლეულს კი, მასპინძლების თხოვნით, პროგრამას ზამთრის ორი, ამერიკაში განსაკუთრებით პოპულარული სახეობა დაემატა — ჰოკეი და ფიგურული ციგურაობა.

სიეტლის თამაშების ინიციატორია ამერიკის ტელეკომპანია ტი-ბი-ესი და ამიტომაც ყველა საკითხს იგი წყვეტს, რა თქმა უნდა, პარტნიორებთან სოლიდარობის პრინციპით.

ტურნირის ექო

# პირველი არგუმენტი

**ბოლო** წლებში ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეების მისამართით უფრო საყვედური ისმოდა, ვიდრე ქება. სხვაგვარად თითქოს არც უნდა ყოფილიყო, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სეულის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენი მოჭიდავეები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობას ვინ ჩივის არცკი გამოსულან ამ დიდ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში. არ გამოსულან „უბრალო" მიზეზის გამო — საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვერ ხვდებოდნენ.

არ იფიქროთ, საკავშირო ნაკრებში მოხვედრა ყოფილიყო ერთადერთი სანუკვარი მიზანი ჩვენი სპორტსმენებისათვის — სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც ისინი დიდ საერთაშორისო სარბიელზე გაჰყავს...

კრიტიკის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი მიხეილ სალაძე წარბს არ იხრიდა და თითქმის ყოველ ინტერვიუში ჯიუტად აცხადებდა, კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენეული ტრადიცია უნდა დავიბრუნოთო.

ტრადიციის დაბრუნებაზე ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ ამ ახალგაზრდა, მომთმენმა უფროსმა მწვრთნელმა ჯერჯერობით ის მაინც შეძლო, რომ ამ გზის რეალობის დამარწმუნებელი არგუმენტი „წარმოადგინა". ეს არგუმენტი გახლდათ ჩვენი გუნდის გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც მან ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სიცხადისათვის აქვე უნდა აღვნიშნოთ: ბოლო წლებში ასეთი წარმატება ჩვენს „კლასიკოსებს" აღარ ჰქონიათ.

თუ რას ნიშნავს საკავშირო ჩემპიონატი ჭიდაობაში, ეს ალბათ განმარტებას არ საჭიროებს. „კიევში 52 ქალაქის წარმომადგენლები გამოდიოდნენ და ჯილდოები 20 სხვადასხვა ქალაქში „გაემგზავრა", — აღნიშნა ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების უფროსის მოადგილემ ალბერტ კუხიანიძემ, — ასეთი შეუპოვარი ბრძოლა იშვიათად მინახავს, ძირითადად ორთაბრძოლების ბედს ერთი ან ორი ქულა წყვეტდა, მხოლოდ ექვსი თუ შვიდი შეხვედრა დამთავრდა წმინდა მოგებით. თან ახლა; როგორც იცით, მოჭიდავეს აღარ ხსნიან პასიურობისათვის და ზოგი შერკინება 15-20 წუთს გრძელდებოდა, ვიდრე რომელიმე მეტოქე მომგებიან ქულას არ მოიპოვებდა..."

ეს სიტყვები ა. კუხიანიძემ ჭიდაობის სამმართველოს შტაბ-ბინაში გამართულ შეკრებაზე წარმოთქვა, სადაც კლასიკური მოჭიდავეების გამოსვლაზე იმსჯელეს იქ შეკრებილმა სპეციალისტებმა. ვერ ვიტყვით, რომ გუნდი და მისი მწვრთნელები ქებით აიყვანეს ცაში, უბრალოდ, ქებაც უთხრეს და შენიშვნაც — თუკი რაიმე ასეთი ჰქონდათ. არც კიევში ნამყოფებს სჭირდებოდათ დიდი დითირამბები — თვითონაც ზუსტად იცოდნენ იმ მედლების ფასი და ამაზე განსაკუთრებულად ყურადღება არც გაუმახვილებიათ, უფრო გუნდის პოტენციაზე და პერსპექტივაზე ილაპარაკეს.

ალბერტ კუხიანიძის აზრით, ჩემპიონატის წინ კარგად ჩატარდა ბოლო სამი საწვრთნელი შეკრება ბორჯომსა და თბილისში. გუნდში დისციპლინა არ დარღვეულა და წონის საკითხიც წარმატებით გადაიჭრა (რაც არც ისე ხშირია, მოჭიდავეთა ტურნირების წინ), ოღონდ მან შენიშვნებიც გამოთქვა, რომელიც ჩვენი ნაკრების კიევში დაბინავებასა და საშეჯიბრო მობილიზების წვრილმანებს ეხებოდა და ამ საკითხში სამაგალითოდ ძიუდოისტები დაასახელა.

იმ სამ „შინაურ" შეკრებას, ეტყობა, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი მწვრთნელები საერთოდ ხშირად ჩივიან იმის გამო, რომ დიდი შეჯიბრების წინ მათი მოწაფეები სხვადასხვა საკავშირო ნაკრებებში მიჰყავთ და იქ ამზადებენ: „ჩვენი ხელი მოაკლდებათ ხოლმე და მერე, შეჯიბრებაზე, ვეღარც კი ვცნობთო".

მიხეილ სალაძემ, თავის მხრივ, აღნიშნა რომ გუნდში უთანხმოება

იხ. მე-2 გვ

**არსებობის** მხოლოდ ერთ წელს ითვლის საჩოგბურთო კლუბი „მუხის ფოთოლი". ამ ხნის მანძილზე კლუბის ინიციატივით არაერთი საინტერესო ტურნირი ჩატარდა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — შიგასაკლუბო, საშობაო, ქალაქის ჩოგბურთის მოყვარულთა შეჯიბრებები... და აი, „მუხის ფოთოლი" (პრეზიდენტი — გოგი გახოკიძე) უცხოელ ჩოგბურთელთა მასპინძლადაც მოგვევლინა. დიახ, ბელგიის ჩოგბურთის სამოყვარულო ფედერაციის 10 წარმომადგენელი ეწვია გუშინწინ თბილისს. ისინი ვაკის პარკში, „მუხის ფოთლის" კორტებზე გამართავენ საჩვენებელ გამოსვლებს. იმედია, ქართველ და ბელგიელ მოყვარულ ჩოგბურთელთა საჩვენებელ მატჩებს მაყურებელი არ დააკლდება და სტუმრებიც კმაყოფილები დატოვებენ საქართველოს დედაქალაქს.



სურათზე: ბელგიელი ჩოგბურთელები ვარჯიშის წინ.

აშოტ კოჭლამაზაშვილის ფოტო.

# ნონა გაფრინდაშვილი — ლიდერი

**კუალა-ლუმპური** (მალაიზია). აქ მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, მონაწილეობს 18 მოჭადრაკე. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც — ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი.

12 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილს 9,5 ქულა აქვს და ლიდერია, ჩინელი კნიუ ქუნი მას ნახევარი ქულით ჩამორჩება. III-IV ადგილს 8,5-8,5 ქულით იყოფენ ნინო გურიელი და ანა ახშარუმოვა (აშშ)... ნანა ალექსანდრიას 6 ქულა აქვს და დღეს იგი ლემაშკოსთან გამოტოვებულ პარტიას ითამაშებს.

შეგახსენებთ, I-III ადგილების მფლობელები გამოვლენ პრეტენდენტთა ტურნირში.

**ეს ცნობა გუშინ ტელეფონით მიიღეს რესპუბლიკის სპორტსახკომში.**

# ახლა სომხეთში

**ქალთა** ამ მრავალდღიან ველორბოლას, რომლის პირველი ეტაპი თბილისის ზღვის გარშემო მოეწყო, სხვაგვარად „თბილისი-ერევანი-90-ს" უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ შეჯიბრების ბოლო ოთხ ეტაპს სომხეთი უმასპინძლებს სევანის მაღალმთიანი ტბის მიდამოებში.

სასტარტო რბოლა (სამი წრე — 77 კმ) ბრწყინვალედ ჩაატარა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სტელა პრიახინამ („ივერია", პროფკავშირები). მან ფინიშის ხაზი ყველა მეტოქეზე ადრე გადაკვეთა და 1:48.02 აჩვენა. ასეთივე შედეგით მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს ლაიმა ზილპორიტემ (ოლიმპიური მომზადების ცენტრი — „ბანგა") და გალინა მაქსიმოვამ (კუიბიშევი). პრიახინამ ამ ეტაპზე კიდევ სამი სპეციალური პრიზი დაიმსახურა: როგორც საუკეთესო სამთო მრბოლმა, ყველაზე აქტიურმა მონაწილემ და ყველაზე სტაბილურმა ველოსიპედისტმა.

სამწუხაროდ მას არ გაუმართლა მეორე ეტაპმა, რომელიც ახალგაზრდული ქალაქის მიდამოებში ჩატარდა. აქ იგი ლიდერებს თითქმის 9 წუთით ჩამორჩა და ამ დანაკლისის ანაზღაურება ალბათ ძნელი იქნება.

60-კილომეტრიანი ეტაპი (7 წრე) მოიგო ლიტველმა იოლიტა კოლიკიავიჩიუტემ (1:52.02), რომელიც ორი ეტაპის ჯამში რბოლის ლიდერი გახდა. მომდევნო ადგილებზე არიან კუიბიშეველი ვალენტინა ალხანოვა და უკრაინელი თამარ პოლიაკოვა. ოთხი ეტაპი, როგორც ზემოთ ვთქვით, სომხეთის ტერიტორიაზე ჩატარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგიერთ სახეობაში საქმე საგანგაშოა

უნივერსიადა — 90

**სტუდენტური სპორტი ყველა განვითარებულ ქვეყანაში პროფესიული სპორტის წინამორბედად ითვლება. თუ ჩვენც შევძლით სტუდენტური სპორტის დონის ამაღლება, ბევრ სახეობაში ე. წ. „დიდი სპორტის" პრობლემები თავისთავად მოიხსნება.**

საქართველოს წლევანდელ უნივერსიადაში ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის გუნდები მონაწილეობდნენ. მაგრამ, მაგალითად, სპორტულ ტანვარჯიშში მხოლოდ ოთხი გუნდი გამოვიდა, სხვებს, როგორც გამოირკვა, არ ჰყოლიათ ტანმოვარჯიშეები. მეტად დამაფიქრებელი ფაქტია, მით უმეტეს, რომ გოგონათა ასპარეზობაში მხოლოდ ოთხი (!) სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ვაჟთა შორის კი გაიმარჯვა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ხვიჩა გაბიევმა, ნუგზარ ლვინიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) მეორე იყო, ხოლო მისი თანაინსტიტუტელი ელდარ ფუნთუშაშვილი — მესამე.

არც წყალში ხტომაში გვქონია საქმე კარგად. შეჯიბრებაში ორი უმაღლესი სასწავლებლის მხოლოდ ხუთი სპორტსმენი მონაწილეობდა. ასეთ პირობებში, აბა, რა კონკურენციაზე თუ მიღწევაზე შეიძლება ლაპარაკი. სხვაგვარად იყო საქმე სამბისტთა ტურნირზე, რომელსაც გორმა უმასპინძლა. ალბათ შემთხვევითი არ ყოფილა სამბოსა და ძიუდოს ტურნირების ამ ქალაქში ჩატარება: გორელი მოჭიდავეების მიღწევები საქვეყნოდ არის ცნობილი და იქ მაყურებელიც მცოდნე და ობიექტურია. გუნდური პირველი ადგილი სამბოში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა დაიკავა, მეორე — ფიზკულტურის ინსტიტუტმა, მესამეზე გავიდნენ მასპინძლები — გორის ეკონომიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები; ძიუდოში კი ძლიერად იასპარეზეს გორელებმა და პირველობაც არავის დაუთმეს. მეორე ადგილი წილად ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტს, მესამე — საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

სხვა სახეობებში გამართული ასპარეზობების პრიზიორთა ვინაობას ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან შეიტყობთ, თუმცა აქ იმის თქმაც გვინდა, რაც ყველა ზემოაღნიშნულმა ტურნირმა გვიჩვენა — სტუდენტურ სპორტს აშკარად სჭირდება შველა.

| № | ინსტიტუტების დასახელება | ფეხბურთი | ჭადრაკი | მაგიდის ჩოგბურთი: საგუნდო | მაგიდის ჩოგბურთი: ქალები | მაგიდის ჩოგბურთი: ვაჟები | ცურვა | წყალში ხტომა | მძლეოსნობა: ქალები | მძლეოსნობა: ვაჟები | სპ. ტანვარჯიში | წყალბურთი | კალათბურთი ვაჟ. | ფრენბურთი ქალ. | ძიუდო: ქალები | ძიუდო: ვაჟები | რაგბი | კლ. ჭიდაობა | კალათბურთი ქალ. | სამბო | მ/ძალოსნობა | ხელბურთი ქალ. | ფრენბურთი ვაჟ. | ველო-ტრეკი | ჩოგბურთი | კრივი | ხელბურთი ვაჟ. | ფარიკაობა | თავ. ჭიდაობა | მსროლელობა | მხატ. ტანვარჯ. | ველო-სპორტ.: ვაჟები | ველო-სპორტ.: ქალები | [illegible] | ჩატარებულ სახეობებში მონაწილეობა | საპრიზო ადგილების რაოდენობა: პირველი | მეორე | მესამე | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | I | I | II | II | III | II | – | III | III | – | I | III | I | – | IV | I | III | II | IV | II | – | IV | – | – | III | X | III | VI | II | 3 | – | – | IV | 22 | 6 | 5 | 6 | 17 |
| 2 | ტექნიკური უნივერსიტეტი | II | II | VII | XII | II | III | – | I | II | – | II | I | II | I | III | – | II | III | I | I | I | I | II | I | II | I | I | IV | III | 3 | II | – | II | 26 | 10 | 12 | 4 | 26 |
| 3 | ფიზკულტურის ინსტიტუტი | – | III | VI | VIII | I | I | 3 | II | I | 3 | III | II | III | – | II | – | I | I | II | III | – | II | I | II | I | II | II | II | I | 3 | I | – | I | 25 | 10 | 9 | 4 | 23 |
| 4 | სამედიცინო ინსტიტუტი | III | IV | II | I | X | IV | – | – | – | – | VI | X | IX | – | IX | VII | – | – | X | – | – | VII | – | – | – | VII | V | IX | – | – | – | – | – | 14 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი | – | XI | IV | III | IX | IX | – | – | – | – | – | IV | VII | – | V | III | – | – | V | XI | – | V | – | III | – | V | – | VII | VIII | – | – | – | – | 14 | – | – | 3 | 3 |
| 6 | ზოოვეტერინარული ინსტიტუტი | – | VIII | X | IV | XII | VI | – | – | – | – | – | XII | – | – | VIII | – | VI | – | VII | VI | – | XII | – | – | VIII | III | – | V | VI | – | – | – | – | 13 | – | – | 1 | 1 |
| 7 | სულხან-საბა ორბელიანის პედ. ინსტ-ტი | – | X | VIII | IX | VI | VIII | – | – | – | 3 | – | XIII | V | – | – | II | – | IV | – | – | II | VI | III | – | – | VII | VI | – | X | – | III | – | – | 15 | – | 2 | 2 | 4 |
| 8 | აფხაზეთის უნივერსიტეტი | – | | XIV | XI | VIII | – | 3 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 2 | – | – | – | – |
| 9 | საქ. სუბტროპიკული მეურ. ინსტ-ტი | VIII | IX | XII | X | XI | – | – | – | – | – | VII | VII | – | – | – | VIII | – | VIII | VI | IX | – | XIII | – | – | – | XI | – | – | – | – | – | – | – | 11 | – | – | – | – |
| 10 | ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტ-ტი | VII | VII | III | VI | V | V | – | – | – | – | IV | V | – | II | VI | VI | IV | V | VIII | VII | VI | III | – | VI | – | VI | VII | VIII | IX | – | IV | – | – | 21 | – | 1 | 2 | 3 |
| 11 | ქუთაისის პედ. ინსტიტუტი | VI | V | XIII | XIII | XIV | VII | – | – | – | – | V | IX | VIII | – | – | V | – | VI | – | – | – | X | – | V | IV | VIII | IV | – | IV | – | – | – | – | 15 | – | – | – | – |
| 12 | გორის ეკონომიკური ინსტ-ტი | IV | VI | V | V | VII | – | – | – | – | – | – | VI | – | III | I | IV | – | VII | III | V | IV | XI | – | – | VII | IX | IX | I | VII | – | – | – | – | 17 | 2 | – | 2 | 4 |
| 13 | ბათუმის პედ. ინსტიტუტი | – | XII | IX | VII | VIII | – | – | – | – | – | – | VIII | – | – | – | – | V | – | – | VIII | III | – | – | IV | – | – | VIII | – | XI | – | – | – | – | 9 | – | – | 1 | 1 |
| 14 | თელავის პედ. ინსტიტუტი | V | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | XI | VI | – | VII | – | – | – | IX | IV | V | IX | – | – | VI | IV | – | III | XII | – | – | – | V | 13 | – | – | 1 | 1 |
| 15 | ცხინვალის პედ. ინსტიტუტი | – | – | XI | XIV | IV | – | – | – | – | – | – | – | IV | – | – | – | – | – | – | X | – | VIII | – | – | V | – | – | – | V | – | – | – | III | 7 | – | – | 1 | 1 |
| 16 | უცხო-ენების პედ. ინსტიტუტი | – | III | I | – | – | III | – | – | – | – | – | III | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 4 | 1 | | 3 | 4 |
| 17 | სამხატვრო აკადემია | – | II | II | – | – | II | – | – | – | – | – | I | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 4 | 1 | 3 | – | 4 |
| 18 | თეატრალური ინსტიტუტი | – | IV | III | – | – | I | – | – | – | – | – | II | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | I | – | – | – | – | 5 | 2 | 1 | 1 | 4 |
| 19 | კონსერვატორია | – | I | IV | – | – | IV | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | II | – | – | – | – | 4 | 1 | 2 | – | 3 |

# პირველი არგუმენტი

(დასასრული)

აღარ არის, კოლექტივი მეგობრულია და თუკი ვინმე ამას უშლიდა ხელს, მას უკვე დავემშვიდობეთო. შემდეგ მან შეჯიბრებაზე ილაპარაკა...

ეს ოთხი მედალი, ჩვენმა გუნდმა რომ მოიპოვა კიევში, რა თქმა უნდა, მისთვის სრულებით არ არის შესაძლებლობის ზღვარი. როგორც ჭიდაობის მოყვარულებმა იციან, 100 კგ წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმელი თენგიზ თედორაძე (მწვრთნელი დავით დავითაია) და სართიჭალელი გურამ გედეხაური (მწვრთნელი — თამაზ რეხვიაშვილი). გამარჯვება თედორაძემ მოიპოვა. სულ ცოტათი რომ ეყოჩაღა ზაურ ივანაშვილს, ამ წონაში ჩემპიონატის მთელი კვარცხლბეკი ჩვენი იქნებოდა. გამოუცდელობის გამო პირდაპირ კურიოზულ სიტუაციაში წააგო ჭაბუკმა, მსუბუქი წონის მოჭიდავემ გელა პაპაშვილმა (48 კგ), თორემ პირდაპირ ფინალში ხვდებოდა. საოცრად სტაბილური მოჭიდავე ბეგი დარჩია (მწვრთნელი — აკაკი თავართქილაძე) აგერ უკვე რამდენი წელია, უმედლოდ არ ბრუნდება საკავშირო ჩემპიონატიდან. იმედია, მომავალში „ოქროსაც" წამოიღებს. ქუთაისელი მოჭიდავის გოგი კოღუაშვილისთვის (მწვრთნელი — ჯემალ კოსტავა), ეტყობა, წარმატებით დამთავრდა უფროსთა შეჯიბრებებში „აკლიმატიზაციის" პერიოდი და მან აკი „ვერცხლიც" მოიგო კიევში. მიხეილ სალაძის თქმით, გუნდში სხვა პერსპექტიული მოჭიდავეებიც არიან და თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჩვენ გვყავდა, მათ მომავალზე ნაკლებად უნდა დავეჭვდეთ.

ამჟამად კლასიკურ ჭიდაობაში წარმატების მიღწევა მეტისმეტად გართულდა. ეს თავისებური „მაკრატელის" ბრალია — თუ სხვაგან კონკურენცია გაიზარდა, საქართველოში პირიქით მოხდა... ჩვენს 15 კაციან გუნდში, კიევში რომ ასპარეზობდა, 11 მოჭიდავე თბილისიდან იყო, სამი — ქუთაისიდან და ერთიც — ბათუმიდან. სულ ეს არის, სხვა რეგიონები განზე დარჩნენ კლასიკური ჭიდაობიდან. მართალია, თბილისმა მეორე ადგილი დაიკავა ქალაქებს შორის (როსტოვის შემდეგ), მაგრამ მარტო ეს საქმეს არ შველის, ამიტომ ზემოხსენებულ შეხვედრაზე პრინციპულად დაისვა საკითხი, თუნდაც ახმეტაში და საგარეჯოში კლასიკური ჭიდაობის ჯგუფების გახსნის შესახებ. შეხვედრაზე სხვა პრობლემებზეც ილაპარაკეს, რომლებიც ჩვენში კლასიკურ ჭიდაობას „არ აკლია". მაგრამ თვითონ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შორის იმდენი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი და სპეციალისტია, ვფიქრობთ, უნდა შეძლონ ამ პრობლემების გადაჭრა. დაგისახელებთ მათ და ალბათ თქვენც დარწმუნდებით: მიხეილ სალაძე, თემურ ყაზარაშვილი, ილია ჩხარტიშვილი, ოთარ ტატიშვილი, ჯონი რეხვიაშვილი, აკაკი თავართქილაძე, ვახტანგ ბლაგიძე, ომარ ბლიაძე (გუნდის ექიმია გოგი ჭუმბურიძე, მასაჟისტი იოსებ ბერძენიშვილი).

# თუნდაც ახალგაზრდები ჭიდაობდნენ

**ძიუდოისტთა** რესპუბლიკურ „რიგით" პირველობაზე ზოგჯერ იმდენი ძლიერი სპორტსმენი იკრიბება, რომელთა სახელები უფრო მაღალი რანგის ასპარეზობასაც დაამშვენებდა. მაგალითად, თუნდაც გორში გამართული საქართველოს ახალგაზრდული პირველობა ავიღოთ. მის მონაწილეთა შორის გამოვარჩევთ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონს (თანატოლთა შორის) თბილისელ თამაზ საკაშვილს, მის თანაქალაქელ თამაზ ცოფურაშვილს, რომელმაც წლეულს ყველა ტურნირი მოიგო, რომელშიც კი მონაწილეობდა (ა. კიკნაძის მემორიალი, კიევის საერთაშორისო ტურნირი, სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობა და სხვა). თავისი სიძლიერით ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე სხვა ბევრი მონაწილეც.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **58 კგ.** ოთარ დადეშქელიანი (მესტია); **60 კგ.** გიორგი ადიბეგოვი (ქარელი); **65 კგ.** გიორგი ბაიაძე (გორი); **71 კგ.** ბესიკ გიორგაშვილი (თბილისი); **78 კგ.** სოსო ლიპარტელიანი (კასპი); **86 კგ.** თამაზ საკაშვილი; **95 კგ.** თამაზ ცოფურაშვილი; **95 კგ.** რამაზ წიკლაური (სამივე — თბილისი).

**გუნდური:** 1. „შევარდენი" — 38 ქულა: 2. „მართვე" — 34,5; 3. ასკ —31; 4.„დინამო" — 18,5.

## ინფორმაცია

**მოსკოვში,** ბიტცის საცხენოსნო კომპლექსზე დამთავრდა პირადგუნდური საკავშირო ჩემპიონატი კონკურში — ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოთხმა უძლიერესმა მხედარმა. ყველანი რომ ერთსა და იმავე მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, სპორტსმენები იცვლიდნენ ცხენებს. ასე რომ, უძლიერესი გამოვლინდა ოთხი ასეთი ცდის ჯამში.

პირველი ადგილი და ჩემპიონის დიდი ოქროს მედალი გადაეცა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ვლადიმერ პანურინს, რომელსაც 12 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი 20 საჯარიმო ქულით გუდაუთელ მხედარს ხარლამ სიმონიას ერგო. ბრინჯაოს მედალი დარჩა უკრაინის გუნდის წევრს ვლადიმერ ვოშაკინს — 33,25 ქულა.

# „შესანიშნავი შვიდეული"

შვიდი ჩვენი ჭაბუკი ათლეტი მიიღებს მონაწილეობას თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც უნგრეთში გაიმართება. როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს მოჭიდავეების გამგზავრება საეჭვო იყო, რამდენადაც ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ უსახსრობა მოიმიზეზა, კერძოდ, ვალუტის უქონლობა. ფინანსური პრობლემა დადებითად გადაიჭრა: ლევან თედიაშვილმა ნორჩი ფალავნებისთვის 2300 დოლარი გადარიცხა, რომელსაც შემდეგ კიდევ 700 დოლარიც დაუმატა.

ბოლოს ისევ წარმოიქმნა წინააღმდეგობა ამჯერად სამგზავრო ბილეთებთან დაკავშირებით. საქართველოს სპორტსახკომის ჩარევით ეს პრობლემაც მოიხსნა და ჩვენი მოჭიდავეები მიემგზავრებიან მსოფლიო პირველობაზე, რომელიც 18-20 ივლისს გაიმართება.

საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში თერთმეტი სპორტსმენია. თითო წარმომადგენელია ბელორუსიიდან, მოსკოვიდან, რსფსრ-დან და ყირგიზეთიდან, დანარჩენი შვიდი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკიდან არის: მ. მჭეიძე (51 კგ), დ. პოლოსიანი (55 კგ), გ. ხაბელაშვილი ([illegible] კგ), ა. კახნიაშვილი (76 კგ), [illegible] (83 კგ), ზ. ლოლაშვილი (95 კგ) და ქ. შოშიტაშვილი (მძიმე წონა).

დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების [illegible] ომზარ შოშიტაშვილი.

# საქართველოს თასზე

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრები: „მრეტები" (თბილისი) — „გორდა" (რუსთავი) 3:1, „ოდიში" (ზუგდიდი) — „ბათუმი" (ბათუმი) 0:0, „მზიური" (გალი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „ქუთაისი" (ქუთაისი) — „დილა" (გორი) 3:0, „მერცხალი" (ოზურგეთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 4:1, „სიონი" (ბოლნისი) — „ცხუმი" (სოხუმი) 1:1, „ოკრიბა" (ტყიბული) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 1:0. განმეორებითი შეხვედრები 28 აგვისტოს გაიმართება.

# კონკურსი მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე

**მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ვალერი ლობანოვსკიმ, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გუნდს.** ახლა გამოცხადებულია კონკურსი სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. ამ პოსტის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობენ ა. ბიშოვეცი („დინამო", მოსკოვი), ე. კუჩერევსკი („დნეპრი", დნეპროპეტროვსკი), პ. სადირინი (ცსკა), რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კონკურსში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობა სურთ სხვა პიროვნებებსაც, მაგრამ მათგან არც ერთს არ უმუშავია ოსტატთა კატეგორიის ცნობილ გუნდებთან.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატთა განხილვა შედგება დღეს, 17 ივლისს, 18 ივლისს კი ახალ მწვრთნელთან გააფორმებენ 4-წლიან კონტრაქტს.

## I ლიგა

14 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 23-ე ტურის მატჩები. სოხუმის დინამოელები ტაშკენტში შეხვდნენ „ფახთაქორს" და დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. ტურის სხვა შედეგები: „ლოკომოტივი" (გორკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:2, „როსტსელმაში" (როსტოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტირასი" (ტირასპოლი) 4:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:0.

# „ზენიტის" — ახალი ცხოვრება

**ლენინგრადის** „ზენიტის" საფეხბურთო კლუბი ამჟამად დიდ სიძნელეებს განიცდის. ოდესღაც ცნობილი მისი გუნდი, სსრ კავშირის ყოფილი ჩემპიონი და თასის მფლობელი, ახლა I ლიგაში გამოდის და იქაც არა აქვს ,ხეირიანი მაჩვენებლები.

ლენინგრადის სპორტული საზოგადოებრიობა ცდილობს კვლავ ფეხზე წამოაყენოს თავისი საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივი, ამ დღეებში გაიმართა „ზენიტის" დამფუძნებელი კონფერენცია, აირჩიეს ადმინისტრაციული საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ბოლშაკოვი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# გათამაშების კალენდარი

II წრე

**5 აგვისტო, XVIII ტური**
„სამგურალი" (წყალტუბო) — „კოლხეთი" (ხობი)
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ცხუმი" (სოხუმი)
„ოდიში" (ზუგდიდი) — „ქუთაისი" (ქუთაისი)
„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მერცხალი" (ოზურგეთი)
„ლიახვი" (ცხინვალი) — „სანავარდო" (სამტრედია)
„დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი)
„გორდა" (რუსთავი) — „ბათუმი" (ბათუმი)
„კოლხეთი"-1913" (ფოთი) — „იბერია" (თბილისი)
„ივერია" (ხაშური) — „მზიური" (გალი)

**9 აგვისტო, XIX ტური**
„ივერია" — „სამგურალი"
„მზიური" — „კოლხეთი-1913"
„იბერია" — „გორდა"
„სანავარდო" — „ამირანი"
„მერცხალი" — „ოდიში"
„ქუთაისი" — „შევარდენი-1906"
„ცხუმი" — „კოლხეთი" (ხობი)
„ბათუმი" — „დილა"
„გურია" — „ლიახვი"

**13 აგვისტო, XX ტური**
„სამგურალი" — „ცხუმი"
„კოლხეთი" (ხობი) — „ქუთაისი"
„შევარდენი-1906" — „მერცხალი"
„ოდიში" — „სანავარდო"
„ამირანი" — „გურია"
„ლიახვი" — „ბათუმი"
„დილა" — „იბერია"
„გორდა" — „მზიური"
„კოლხეთი-1913" — „ივერია"

**18 აგვისტო, XXI ტური**
„იბერია" — „ლიახვი"
„ბათუმი" — „ამირანი"
„გურია" — „ოდიში"
„სანავარდო" — „შევარდენი-1906"
„მერცხალი" — „კოლხეთი" (ხობი)

**19 აგვისტო**
„კოლხეთი-1913" — „სამგურალი"
„ივერია" — „გორდა"
„მზიური" — „დილა"
„ქუთაისი" — „ცხუმი"

**24 აგვისტო, XXII ტური**
„სამგურალი" — „ქუთაისი"
„ცხუმი" — „მერცხალი"
„კოლხეთი" (ხობი) — „სანავარდო"
„შევარდენი-1906" — „გურია"
„ოდიში" — „ბათუმი"
„ამირანი" — „იბერია"
„ლიახვი" — „მზიური"
„დილა" — „ივერია"
„გორდა" — „კოლხეთი-1913"

**1 სექტემბერი, XXIII ტური**
„გორდა" — „სამგურალი"
„კოლხეთი-1913" — „დილა"
„ივერია" — „ლიახვი"
„მზიური" — „ამირანი"
„იბერია" — „ოდიში"
„ბათუმი" — „შევარდენი-1906"



„გურია" — „კოლხეთი" (ხობი)
„სანავარდო" — „ცხუმი"
„მერცხალი" — „ქუთაისი"

**9 სექტემბერი, XXIV ტური**
„სამგურალი" — „მერცხალი"
„ქუთაისი" — „სანავარდო"
„ცხუმი" — „გურია"
„კოლხეთი" (ხობი) — „ბათუმი"
„შევარდენი-1906" — „იბერია"
„ოდიში" — „მზიური"
„ამირანი" — „ივერია"
„ლიახვი" — „კოლხეთი-1913"
„დილა" — „გორდა"

**15 სექტემბერი, XXV ტური**
„დილა" — „სამგურალი"
„გორდა" — „ლიახვი"
„კოლხეთი-1913" — „ამირანი"
„ივერია" — „ოდიში"
„მზიური" — „შევარდენი-1906"
„ბათუმი" — „ცხუმი"
„გურია" — „ქუთაისი"
„იბერია" — „კოლხეთი" (ხობი)
„სანავარდო" — „მერცხალი"

**23 სექტემბერი, XXVI ტური**
„სამგურალი" — „სანავარდო"
„მერცხალი" — „გურია"
„ქუთაისი" — „ბათუმი"
„ცხუმი" — „იბერია"
„კოლხეთი" (ხობი) — „მზიური"
„შევარდენი-1906" — „ივერია"
„ოდიში" — „კოლხეთი-1913"
„ამირანი" — „გორდა"
„ლიახვი" — „დილა"

**29 სექტემბერი, XXVII ტური**
„ლიახვი" — „სამგურალი"
„კოლხეთი-1913" — „შევარდენი-1906"
„ივერია" — „კოლხეთი" (ხობი)
„მზიური" — „ცხუმი"
„იბერია" — „ქუთაისი"

**30 სექტემბერი**
„დილა" — „ამირანი"
„ბათუმი" — „მერცხალი"
„გორდა" — „ოდიში"
„გურია" — „სანავარდო"

**5 ოქტომბერი, XXVIII ტური**
„სამგურალი" — „გურია"
„სანავარდო" — „ბათუმი"
„მერცხალი" — „იბერია"
„ქუთაისი" — „მზიური"
„ცხუმი" — „ივერია"
„კოლხეთი" (ხობი) — „კოლხეთი-1913"
„შევარდენი-1906" — „გორდა"
„ოდიში" — „დილა"
„ამირანი" — „ლიახვი"

**14 ოქტომბერი, XXIX ტური**
„ამირანი" — „სამგურალი"
„ლიახვი" — „ოდიში"
„დილა" — „შევარდენი-1906"
„გორდა" — „კოლხეთი" (ხობი)
„კოლხეთი-1913" — „ცხუმი"
„ივერია" — „ქუთაისი"
„მზიური" — „მერცხალი"
„იბერია" — „სანავარდო"
„ბათუმი" — „გურია"

**19 ოქტომბერი, XXX ტური**
„სამგურალი" — „ბათუმი"
„გურია" — „იბერია"
„სანავარდო" — „მზიური"
„მერცხალი" — „ივერია"
„ქუთაისი" — „კოლხეთი-1913"
„ცხუმი" — „გორდა"
„კოლხეთი" (ხობი) — „დილა"
„შევარდენი-1906" — „ლიახვი"
„ოდიში" — „ამირანი"

**28 ოქტომბერი, XXXI ტური**
„ოდიში" — „სამგურალი"
„ამირანი" — „შევარდენი-1906"
„ლიახვი" — „კოლხეთი" (ხობი)
„დილა" — „ცხუმი"
„გორდა" — „ქუთაისი"
„კოლხეთი-1913" — „მერცხალი"
„ივერია" — „სანავარდო"
„მზიური" — „გურია"
„იბერია" — „ბათუმი"

**3 ნოემბერი, XXXII ტური**
„სამგურალი" — „იბერია"
„ბათუმი" — „მზიური"
„გურია" — „ივერია"
„სანავარდო" — „კოლხეთი-1913"
„მერცხალი" — „გორდა"
„ქუთაისი" — „დილა"
„ცხუმი" — „ლიახვი"
„კოლხეთი" (ხობი) — „ამირანი"
„შევარდენი-1906" — „ოდიში"

**8 ნოემბერი, XXXIII ტური**
„შევარდენი-1906" — „სამგურალი"
„ოდიში" — „კოლხეთი" (ხობი)
„ამირანი" — „ცხუმი"
„ლიახვი" — „ქუთაისი"
„დილა" — „მერცხალი"
„გორდა" — „სანავარდო"
„კოლხეთი-1913" — „გურია"
„ივერია" — „ბათუმი"
„მზიური" — „იბერია"

**12 ნოემბერი, XXXIV ტური**
„სამგურალი" — „მზიური"
„იბერია" — „ივერია"
„ბათუმი" — „კოლხეთი-1913"
„გურია" — „გორდა"
„სანავარდო" — „დილა"
„მერცხალი" — „ლიახვი"
„ქუთაისი" — „ამირანი"
„ცხუმი" — „ოდიში"
„კოლხეთი" (ხობი) — „შევარდენი-1906"

# ა. მიხაილიჩენკოს პრობლემა

**კიევის** „დინამოს" ფეხბურთელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატში, მაგრამ ამ ფეხბურთელს უცხოეთში კარგად იცნობენ და ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობის დაწყებამდე მისი შეძენა გადაწყვიტა იტალიის ცნობილმა კლუბმა გენუის „სამპდორიამ". მიმდინარეობდა მოლაპარაკება კლუბების წარმომადგენელთა შორის, თუმცა, ამ გარიგებას კიევის საფეხბურთო კლუბის გამგეობა საიდუმლოდ აწარმოებდა, თანხის შესახებაც პრესაში ცნობა არ გამოქვეყნებულა.

კიევში ჩავიდა ცნობილი იტალიელი საქმოსანი, ი. ბალერინი, რომელიც ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის სპეციალისტია, მან განაცხადა, რომ ჩამოსულია ა. მიხაილიჩენკოსთან კონტრაქტის გასაფორმებლად. იტალიელმა სტუმარმა ისიც თქვა, რომ იტალიური კლუბები დაინტერესებული არიან აგრეთვე, კიეველი ფეხბურთელებით ო. პროტასოვით და ო. კუზნეცოვით.

„სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნდა საუბარი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვ. კოლოსკოვთან, რომელმაც კომენტარი გაუკეთა ა. მიხაილიჩენკოს უცხოეთის კლუბში წასვლის საკითხს.

— კიევის „დინამოს" ხელმძღვანელობამ, — განაცხადა მან, — უპატივცემლობა გამოიჩინა როგორც უკრაინის, ისე საკავშირო ფედერაციების მიმართ, ვინაიდან არც ერთი მათგანისთვის არაფერი უცნობებია მიხაილიჩენკოს თაობაზე. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში დაწესებული გვაქვს ასაკობრივი ცენზი — 28 წელი, როცა შეიძლება ფეხბურთელის უცხოეთის კლუბში გადასვლა, ა. მიხაილიჩენკო კი 28 წლის ჯერ არაა. ამ ასაკობრივი ცენზის დაცვა სავალდებულოა, ვინაიდან, როგორადაც უნდა ,გვჭირდებოდეს ვალუტა, საბჭოთა მაყურებელსაც სურს იხილოს ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელები და სწორედ ამიტომაც დადის სტადიონზე.

როგორც ხედავთ, საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელის ალექსეი მიხაილიჩენკოს უცხოეთის კლუბში გადასვლა პრობლემად იქცა. კიევის „დინამოსა" და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავთ საერთო ენა.

# მასპინძლები სრული უპირატესობით

**იერი (საფრანგეთი).** აქ გამართულ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ტურნირში ტრეკზე რბოლაში გუნდური პირველობა საფრანგეთის ნაკრებმა მოიპოვა — 340 ქულა. მეორე ადგილზე შვეიცარიელები გავიდნენ — 286 ქულა. საბჭოთა ველოსიპედისტებს მეოთხე ადგილი ხვდათ — 280 ქულა.

პროგრამის ბოლოსწინა სახეობა იყო გამოდევნებითი გუნდური რბოლა. აქ ფინალში ასპარეზობდნენ საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლები. გამარჯვება ტურნირის მასპინძლებს დარჩათ — 4.26,613. საბჭოთა კვარტეტმა მესამე ადგილი დაისაკუთრა — 4.30,393.

შეჯიბრება დამთავრდა სპრინტერვაჟთა გამოსვლით, რომელშიც სამივე საპრიზო ადგილი ფრანგებმა გაინაწილეს: ფრედერიკ მანიუმ, ერვე ტიუტუმ და ფაბრის კოლამ.

კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

# ცნობები მალაიზიიდან

**კუალა-ლუმპური.** გაიმართა კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. პირველი ჯგუფი: იტალია — ბულგარეთი 67:63, მეორე ჯგუფი: კანადა — ბრაზილია 74:56, მესამე ჯგუფი: ჩეხეთ-სლოვაკეთი — სამხრეთ კორეა 67:60, მეოთხე ჯგუფი: კუბა — ჩინეთი 88:84.

ჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გასული კოლექტივები მეოთხედფინალურ წყვილებს შექმნიან.

# პირველი შეხვედრა

21 წლის სტივ ბაკლი გარეგნულად მშვიდი და ოდნავ ინდიფერენტული ახალგაზრდის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ ექსპერტთა განცხადებით, მას აქვს ბრიტანელთათვის დამახასიათებელი „ფეთქებადი ენერგია", რომელსაც მუდამ, როგორც წესი, საჭირო მომენტში იყენებს.

ამას წინათ ბაკლიმ სტოკჰოლმის ოლიმპიურ სტადიონზე „გრან-პრის" სერიის მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირის მსვლელობის დროს მსოფლიოს რეკორდი „წაართვა" (შუბის ტყორცნაში) შვედ პატრიკ ბოდენს (89. მ. 58 სმ), რომელიც იქვე, მის გვერდით ასპარეზობდა. არადა ბოდენმა თავისი რეკორდი (89 მ. 10 სმ) სულ ორიოდე თვის წინ, მარტში დაამყარა. სხვათა შორის, ეს იყო მათი პირველი დასწრებული შეხვედრა სატყორცნ ,სექტორში.

## ინფორმაცია

**პარიზი.** „ტურ დე ფრანსის" მეცამეტე ეტაპი, რომლის სიგრძე 149 კილომეტრს შეადგენდა (ვილარ-დე-ლანი — სენტ ეტიენი) ესპანელმა ველოსიპედისტმა ედუარდო ჩოზასმა მოიგო — 3:20.12 (საშუალო სისწრაფე 44,655 კმ საათში).

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

ასკ-ს სტადიონზე
(ბოჭორმის ქ. №18)
ფეხბურთი
21 ივლისი
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
(II ლიგა, აღმოსავლეთი ქვეჯგუფი)
„მრეტები" (თბილისი) — „პერეთი" (ლაგოდეხი)
დასაწყისი 18 საათზე.

# სპორტსით იმედს!

**სპორტი** და სპორტული ლატარიები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სპორტული ლატარიების შემოსავალი — ეს გახლავთ ახალი სტადიონები, სპორტის სასახლეები, სპორტული კომპლექსები, სპორტსკოლები. ფიზკულტურული კოლექტივების მძლავრი მატერიალური ბაზა.

აშენებული და რეკონსტრუირებული ბაზები ფართოდ უღებენ კარს ასობით სხვადასხვა ასაკის ფიზკულტურელს. ამაში გამოიხატება ლატარიის დევიზი — „იგებთ თქვენ, იგებს სპორტი“.

ჩვენს რესპუბლიკაში ძალზე პოპულარულია სპორტული ლატარიები. ლატარიებში მონაწილეობით თქვენ უშუალო წვლილი შეგაქვთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში, ე. ი. ათასობით ადამიანის აქტიური დასვენების საქმეში.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ მოგებას ლატარიაში, წარმატებას ფიზკულტურასა და სპორტში!

# ლატარია „სპორტპროგნოზისა“ და „სპორტლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

**რესპუბლიკურ** საწარმოში სპორტული ლატარიების ბილეთების „ბვ“ ნაწილების დროულად მიღებასა და მათ ხარისხიან ტექნოლოგიურ დამუშავებასთან დაკავშირებით ქ. თბილისში შეიცვალა „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში არსებულ „სპორტლოტოს“ ყუთებში „სპორტპროგნოზისა“ და „სპორტლოტოს“ ბილეთების საბოლოო ჩაშვების ვადები. ამიერიდან ასეთი ვადაა ყოველ ხუთშაბათის 18 საათამდე.

მოთამაშეებს შევახსენებთ, რომ პარასკეობით „ბვ“ ნაწილების ჩაბარება შეიძლება სპორტული ლატარიების რესპუბლიკური საწარმოს საფირმო ჯიხურებში 15 საათამდე, ლენინის მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელში არსებულ ცენტრალურ საფირმო ჯიხურში 16 საათამდე და საწარმოსთან მდებარე პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრში —17 საათამდე.

# დიდი მოგებები, ავტომანქანა და ამერიკაში მოგზაურობა

**მიმდინარე** წლის პირველ ნახევარში სპორტული ლატარიების 30 მოყვარულზე მეტი გახდა არა მარტო დიდი მოგების, არამედ კერძო ავტომანქანის მფლობელიც.

განსაკუთრებით გაუმართლათ თბილისის ჩარხმშენებლი კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქტორს გ. კასრაძეს და ქ. ტყიბულში მცხოვრებ გვირაბგამყვან მ. გვეტაძეს.

მათ შეძლეს ლატარია „სპორტლოტო 5 36“-დან მე-8 ტირაჟში გამოეცნოთ სპორტის ხუთივე სახეობა. ბედნიერი ბილეთის მფლობელებმა მიიღეს მოგება თითოეულმა 9.350 მანეთის ოდენობით და ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-21063-ის ურიგოდ შეძენის უფლება.

მაგრამ მათი იღბლიანობა ამით არ დამთავრებულა. ბედნიერი აღმოჩნდა მათი ბილეთების ნომრებიც, რომლის მიხედვითაც თამაშდებოდა კენჭისყრა კეთილი ნების თამაშებზე ტურისტული საგზურებისთვის.

19 ივლისს ტურისტთა ჯგუფი მოსკოვიდან მიფრინავს შორეულ ქალაქ სიეტლში და მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენი გიორგი კასრაძე და მურად გვეტაძე. ვუსურვოთ მათ ბედნიერი მგზავრობა.

# სპეციალური ტირაჟი „გულმოწყალება“

**1990 წლის** 22 ივლისს ლატარიაში „სპორტლოტო 5 36“-დან ძირითადი ტირაჟისგან განცალკევებით, საქველმოქმედო მიზნით, ჩატარდება ტირაჟი „გულმოწყალება“.

ტირაჟის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა გადაეცემა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანთა, ინვალიდთა სამკურნალო დაწესებულებების, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ბაზების შექმნას და განმტკიცებას.

სპეციალური ტირაჟის მოსაგებ ფონდს დაემატება 1989 წლის სარეზერვო მოსაგები ფონდის 200.000 მანეთი.

ლატარიის „სპორტლოტო 5 36“-დან ათტირაჟიანი ბილეთები „გულმოწყალების“ ტირაჟში მონაწილეობენ ყოველ ვარიანტში ათმაგად.

„გულმოწყალების“ ტირაჟში მონაწილე მოგებული ათტირაჟიანი ბილეთების მფლობელთათვის „სპორტლოტოს“ 31-ე ტირაჟის ჩატარების დროს გათამაშდება 5 ავტომანქანის („ჟიგული“ ვაზ-2109) ურიგოდ შეძენის უფლება.

ბილეთების მიღება ამ ტირაჟისთვის დამთავრდება ლატარია „სპორტლოტოს“ 29-ე ტირაჟთან ერთად. ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ტირაჟის ნომრის მაგივრად უნდა ჩაიწეროს „TM“.

სპეციალური ტირაჟის გათამაშება ნაჩვენები იქნება ცენტრალური ტელევიზიით კვირას, 22 ივლისს.

გიწვევთ „გულმოწყალების“ სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

**„საქსპორტლოტო“**




# ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი დამატებითი ტირაჟი

**სპორტული** ლატარიების, „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ 32-ე ტირაჟები ფიზკულტურელის დღეს — 12 აგვისტოს გაიმართება. ტირაჟში გათამაშდება დამატებითი მოსაგები ფონდი 400 000 მანეთის ოდენობით: „სპორტლოტო 6 45“-დან — 50 000 მანეთი, „სპორტლოტო 5 36“-დან— 250000 მანეთი, „სპორტპროგნოზი“ — 100 000 მანეთი.

გარდა ამისა, 32-ე ტირაჟში მონაწილეთათვის დაწესებულია დამატებითი შეღავათები:

10-ტირაჟიანი ბილეთების მფლობელთათვის, რომლებიც ათმაგად მონაწილეობენ ერთ ტირაჟში და გამოიცნობენ 4 ნომერს, ბილეთის სერიისა და ნომრის მიხედვით გათამაშდება რვა ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-2109-ის ურიგოდ შეძენის უფლება (3 ავტომანქანა „სპორტლოტო 6 45“-დან, 5 — „სპორტლოტო 5 36“-დან).

ლატარია „სპორტპროგნოზში“ ამავე წესით გათამაშდება 5 ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-2109 მათთვის, ვინც გამოიცნობს 13-ვე შედეგს, მოგება კი ერთ ვარიანტზე, 10000 მანეთზე ნაკლები იქნება. თუ 13 შედეგს ვერავინ გამოიცნობს, იგივე უფლება გათამაშდება იმ ბილეთებს შორის, სადაც 12 შედეგი იქნება გამოცნობილი.

წილისყრა ნაჩვენები იქნება ცენტრალური ტელევიზიით 34-ე ტირაჟის ჩატარების დროს — 26 აგვისტოს.

მიიღეთ მონაწილეობა 32-ე ტირაჟებში, ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენს შანსს.

**„საქსპორტლოტო“**

# სპორტლოტო-90

**დარჩენილი ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები**

| | |
|---|---|
| 29 | 22 ივლისი |
| 30 | 29 ივლისი |
| 31 | 5 აგვისტო |
| 32 | 12 აგვისტო |
| 33 | 19 აგვისტო |
| 34 | 26 აგვისტო |
| 35 | 2 სექტემბერი |
| 36 | 9 სექტემბერი |
| 37 | 16 სექტემბერი |
| 38 | 23 სექტემბერი |
| 39 | 30 სექტემბერი |
| 40 | 7 ოქტომბერი |
| 41 | 14 ოქტომბერი |
| 42 | 21 ოქტომბერი |
| 43 | 28 ოქტომბერი |
| 44 | 4 ნოემბერი |
| 45 | 11 ნოემბერი |
| 46 | 18 ნოემბერი |
| 47 | 25 ნოემბერი |
| 48 | 2 დეკემბერი |
| 49 | 9 დეკემბერი |
| 50 | 16 დეკემბერი |
| 51 | 23 დეკემბერი |
| 52 | 30 დეკემბერი |

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 27-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.214.506 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (57) მოგება 702 მანეთია, ოთხისთვის (2.021) — 27, სამისთვის (29.195) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 31.830 ვარიანტი. 6—0, 5—3, 4—48, 3—741.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 12.957.173 ვარიანტი.

5 ნომრის გამოცნობისთვის (104) მოგება 3.762 მანეთია, ოთხისთვის (8.442) — 88, სამისთვის (202.333) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 362.046 ვარიანტი. 5—3 (თბილისი, ქუთაისი, მარნეული), 4—180, 3—5.041.

27-ე და 18-27 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 28 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი“

**„C-7“ სპეციალური ტირაჟის შედეგები**
**(7-8 ივლისი)**

ტირაჟში დაშვებულია 1.811.160 ბილეთი. 1 ,2 და 3 ადგილები სწორად არის ამოცნობილი 5.570 ბილეთში, მოგება — 146 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 55.946 ბილეთი, მომგებიანია — 224 ბილეთი.

„C-7“ სპეციალური ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 28 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით.

# იყავით ყურადღებით!

**მიუხედავად** მრავალგზის შეხსენებისა, ბევრი მოთამაშე დაბნეულობისა თუ წესების უცოდინარობის გამო „ბვ“ ნაწილის ნაცვლად ყუთში აგდებს ბილეთის „ა“ ნაწილს, რითაც წინასწარ კარგავს ტირაჟში მონაწილეობის უფლებას.

ერთხელ კიდევ შეგახსენებთ:

თამაშის წესების პირობებით, სპორტული ლატარიების საწარმოში შემოსული ბილეთების „ა“ ნაწილი შეიძლება გაცვალოთ „ბვ“ ნაწილში უშუალოდ საწარმოში (თბილისი, ელიავას ქ. №26) არაუგვიანეს პარასკევის 18 საათისა მოცემული ტირაჟის წინ, „ბ“ ნაწილის შესანახად გამოყოფილი საცავის დალუქვამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოში შემოსულ „ა“ ნაწილებს (გარდა 10-ტირაჟიანი ბილეთებისა, რომლებიც ათტირაჟიანი ციკლის განმავლობაში ინახება) სპობს სპეციალური კომისია სათანადო აქტით, სადაც მითითებული იქნება ბილეთების სერიები და ნომრები.

გახსოვდეთ, რომ „ა“ ნაწილი ერთადერთი საბუთია, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ მოგება, ამიტომ ის თქვენთან უნდა ინახებოდეს.

**მზად ვართ, გემსახუროთ!**

**ჩვენი მისამართი:** 380019, თბილისი—19, ელიავას ქ. №26. ტელეფონები: 34-20-00, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო.

## „სპორტპროგნოზი“, 30-ე ტირაჟის პროგრამა (27-30 ივლისი)

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კეთილი ნების თამაშები. წყალბურთი** | | | | | |
| 1. | იუგოსლავია — იტალია | 27.VII | 70 | 20 | 10 |
| 2. | უნგრეთი — კუბა | 27.VII | 60 | 20 | 20 |
| **კეთილი ნების თამაშები. შაიბიანი ჰოკეი** | | | | | |
| 3. | ჩსფრ — შვეცია | 27.VII | 70 | 20 | 10 |
| 4. | კანადა — ფინეთი | 27.VII | 60 | 20 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, დასავლეთის ზონა)** | | | | | |
| 5. | „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „კარპატი“ (ლვოვი) | 28.VII | 50 | 20 | 30 |
| 6. | „სტარტი“ (ულიანოვსკი) — „ნივა“ (ტერნოპოლი) | 28.VII | 70 | 20 | 10 |
| **კეთილი ნების თამაშები. შაიბიანი ჰოკეი** | | | | | |
| 7. | ჩსფრ — ფინეთი | 29.VII | 40 | 40 | 20 |
| 8. | კანადა — შვეცია | 29.VII | 40 | 50 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 9. | „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „არარატი“ (ერევანი) | 29.VII | 30 | 60 | 10 |
| 10. | „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30.VII | 30 | 40 | 30 |
| 11. | „შახტიორი“ (დონეცკი) — „პამირი“ (დუშანბე) | 30.VII | 70 | 20 | 10 |
| 12. | „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) | 30.VII | 30 | 50 | 20 |
| 13. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 30.VII | 80 | 10 | 10 |

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა თ. მიგრიაული. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, ხამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779